**საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია**

**ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია**

# თამარი, დავით VII ულუს ასული

თამარი, XIII ს. მოღვაწე, დავით VII ულუს ასული. ცოლად შეირთო მონღოლი დიდმოხელის, „გურჯისტანის ვილაიეთის" გამგებლის არღუნ აღას ვაჟმა. თ-ს სძულდა წარმართი მეუღლე. როდესაც არღუნი გარდაიცვალა, ქმარმა იგი დროებით თბილისში ჩამოიყვანა. თ. გაიპარა და მთიულეთში დაიმალა. აბაღა ხანისა და თ-ის ძმის – დემეტრე II-ის თანხმობით, თ. ცოლად შეირთო სამეფოს ფაქტობრივმა გამგებელმა, მედროვე სადუნ მანკაბერდელმა.

*წყარო*: ჟამთააღმწერელი, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 2, თბ., 1959; ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატიანე, რ. კიკნაძის გამოც., თბ., 1987; ქართლის ცხოვრება, მთ. რედ. რ. მეტრეველი, თბ., 2008.

*ლიტ.*: ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ივ., ქართველი ერის ისტორია, ტ. 3, თბ., 1982 (თხზ. თორმეტ ტომად).

***გ. საითიძე***